

**განმარტებითი ბარათი კანონპროექტზე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“**

კანონპროექტის მიზანია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული იმ ხარეუმის აღმოფხვრა, რომელიც დაკავშირებულია სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. კერძოდ, კანონის 56-ე მუხლით ეს დაწესებულებები ახორციელებენ მხოლოდ სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე. კანონის ეს მუხლი ითვალისწინებს ასეთი დაწესებულებების შექმნის შესაძლებლობას საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, ხოლო მისი დაფუძნება ხდება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინების საფუძველზე. კანონში არსებული ხარეუმის გამო განსაზღვრული არ არის ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელის (დირექტორის) დანიშვნისა და გათავისუფლების შექანიში, რის გამოც ცვლილება შედის კანონის 56-ე და 59-ე მუხლებში, რომლის მიხედვითაც ასეთი დაწესებულების ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი. ცვლილებით გათვალისწინებულია აგრეთვე ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა. ეს საკითხი ასევე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის კომპეტენციაში შედის.

კანონპროექტის მიღება არ იწვევს დაზარალებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტი.